საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/85 " 29 " იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში" შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-5 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სისხლის სამართლის საქმეებზე:

ა.ა) ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა;

ა.ბ) წინასასამართლო სხდომა;

ა.გ) საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებული შუამდგომლობა;

ა.დ) სისხლის სამართლის არსებითად განსახილველი საქმე, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა და რომელშიც:

ა.დ.ა) მხარეები სადავოდ არ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;

ა.დ.ბ) მხარეები სადავოდ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;

ა.ე) სისხლის სამართლის არსებითად განსახილველი საქმე, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული არ არის პატიმრობა და რომელშიც:

ა.ე.ა) მხარეები სადავოდ არ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;

ა.ე.ბ) მხარეები სადავოდ ხდიან წარდგენილ მტკიცებულებებს;

ა.ვ) ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი საქმე;

ა.ზ) კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაწილეობით განსახილველი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც:

ა.ზ.ა) აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა;

ა.ზ.ბ) აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული არ არის პატიმრობა;

ა.თ) წინასასამართლო სხდომამდე არანაკლებ 15 დღით ადრე შემოსული შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ;

ა.ი) სხვა კატეგორიის საქმე;";

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამის კოლეგიაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა)/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით და თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის აღნიშნულ რაოდენობამდე საქმეთა შესავსებად საქმეთა განაწილების მაჩვენებელი გაიზრდება 100%-ით, ხოლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლისათვის - 75%-ით, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე, ამ ასაკის მიღწევის შემდეგ კი - 100%-ით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი